

## ავტობიოგრაფია

მე, შალვა თადუმაძე დავიბადე 1978 წლის 22 იანვარს ქ. თბილისში. 1994 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 31-ე საშუალო სკოლა. 1998 (ექსტერნატის წესით) წელს დავამთავრე თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი, მონიჭებული მაქვს იურისტის კვალიფიკაცია. კარიერა დავიწყო 2001 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს იურიდიული ქვეგანყოფილების იურისტ კონსულტანტად. 2001-2002 წლებში ასოციაციაში „სამართალი და თავისუფლება“ და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) პროექტში „სამხედრო მოსამსახურის უფლებები“ ვმუშაობდი ადვოკატად, 2002-2003 წლებში ასევე ვმუშაობდი ადვოკატად ევროპული კომისიის (EC) პროექტში „სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვა და ანტიკორუფციული ღონისძიებები თავდაცვის სფეროში“. 2002-2004 წლებში ვიყავი სამხედრო დისციპლინის კოდექსის შემუშავებელი კომისიის წევრი. 2003-2005 წლებში ასოციაციაში „სამართალი და თავისუფლება“ და ასევე ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროექტში ვიყავი საგანმანათლებლო და კანონშემოქმედებითი ჯგუფის წევრი. 2003-2004 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მეკავა იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობა. 2005-2007 წლებში ასოციაციაში „სამართალი და თავისუფლება“ და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის (OSI) პროექტში „ადამიანის უფლებების დაცვა შეიარაღებულ ძალებში და სამოქალაქო კონტროლი თავდაცვის სამინისტროზე“ ვმუშაობდი პროექტის კოორდინატორად და ადვოკატად. 2006-2009 წლებში ასევე ვმუშაობდი პროექტის კოორდინატორად ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი ცენტრის და IRI-ის პროექტში „ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი სკოლა“. 2007-2008 წლებში ჰოლდინგ კომპანიაში „აბგ & პროფესერვის გრუპი“ ვეწეოდი საადვოკატო საქმიანობას. 2010-2012 წლებში ასოციაციაში „სამართალი და თავისუფლება“ და ევროპის კავშირის (EU) პროექტში „წამების პრევენცია სამხედრო ჰაუპტვახტებში“ მეკავა პროექტის კოორდინატორის პოზიცია. 2008-2012 წლებში დავაფუძნე საადვოკატო კომპანია „შალვა თადუმაძე და ბი ელ ფი კონსალტინგი“, სადაც საერთო სპეციალიზაციის მიმართულებით ვმუშაობდი ადვოკატად. 2012-2018 წლებში მეკავა საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის თანამდებობა. 2014-2016 წლებში ვხელმძღვანელობდი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის ხელშემწყობ სამთავრობო კომისიას. 2017 წელს ვიყავი საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 2018 წლის ივლისამდე ვმუშაობდი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე. 2018 წლის ივლისიდან დღემდე ვარ საქართველოს გენერალური პროკურორი. გავლილი მაქვს არაერთი ტრენინგი-სემინარი პროფესიული განვითარების მიზნით, 2006 წელს ჩაბარებული მაქვს ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალიზაციით. 2006-2007 წლებში ვსწავლობდი თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში. ვფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. მყავს მეუღლე და ერთი შვილი.